საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 14/30 „07" 12 2015 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება #14

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ

"სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული 2014 წლის 8 ოქტომბრის ფაკულტეტის საბჭოს №9 ოქმითა და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის №6 ოქმით) 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის საბჭოს 2015 წლის 4 დეკემბრის სხდომის №7 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნოს პროფესორი გიორგი გოგსაძე;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას;

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის საბჭოს

სხდომის ოქმი # 7

4 დეკემბერი, 2015

სხდომას ესწრებოდა: დეპარტამენტის საბჭოს 13 წევრიდან – 10

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: გ. გოგსაძე, ი. სალუქვაძე, ვ. ლორთქიფანიძე;

ასოცირებული პროფესორები: თ. დოლბაია, ვ. მელიქიძე, მ. ბოკერია, ა. სახვაძე;

ასისტენტ-პროფესორები: გ. კვინიკაძე, ბ. წერეთელი, ვ. ჩხაიძე

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი ი. სალუქვაძე, ხოლო **მდივნად-** ასოცირებული პროფესორი მ. ბოკერია.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის, პროფესორ ი. სალუქვაძის ინფორმაცია საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ორი წლის ვადით არჩევის შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საარჩევნო პროცესი.

ი. სალუქვაძემ სთხოვა საბჭოს წევრებს საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურების დასახელება.

პროფესორმა ვაჟა ლორთქიფანიძემ დაასახელა პროფესორ გიორგი გოგსაძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

დაადგინეს: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის

არჩევა განხორციელდეს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

სხდომის თავმჯდომარე ი. სალუქვაძემ კენჭისყრაზე დააყენა გ. გოგსაძის კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის საბჭოს 10–მა წევრმა და ათივემ ხმა მისცა გ. გოგსაძის კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ხმათა სიითი უმრავლესობით არჩეული იქნა პროფესორი გიორგი გოგსაძე;
2. ეთხოვოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს თამარ დოლბაიას, დაამტკიცოს პროფესორი გიორგი გოგსაძე საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარე: ი. სალუქვაძე, პროფესორი

სხდომის მდივანი: მ. ბოკერია, ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის სხდომა

4 დეკემბრი, 2015 წ.

აკადემიური პერსონალი:

1. რევაზ გაჩეჩილაძე, პროფესორი
2. გიორგი გოგსაძე, პროფესორი
3. ვაჟა ლორთქიფანიძე, პროფესორი
4. იოსებ სალუქვაძე, პროფესორი
5. მარინე ბოკერია, ასოცირებული პროფესორი
6. თამარ დოლბაია, ასოცირებული პროფესორი
7. ია იაშვილი, ასოცირებული პროფესორი
8. ვალერიან მელიქიძე, ასოცირებული პროფესორი
9. ნინო პავლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
10. ანზორ სახვაძე, ასოცირებული პროფესორი
11. გიორგი კვინიკაძე, ასისტენტ პროფესორი
12. ბაადურ წერეთელი, ასისტენტ პროფესორი
13. ვლადიმერ ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი